ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5213455

ნომერი: AR1792576

თარიღი : 03.12.2020

გაცემის თარიღი : 04.12.2020

გაცნობის თარიღი : 04.12.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 25;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვარაცხელია პ/ნ 01025014371
- თბილისი ვაშლიჯვარი კორ. 1ბ ბ. 33

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული AR1792576 (03/12/2020 წ.) განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ასმათის ქუჩა #25-ში, N01.72.14.036.191 (1250 მ2) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების გათვალისწინებით, 2019 წლის 26 სექტემბრის №4687621 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით.

ამჟამად მოთხოვნილი გაქვთ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ ნაცვლად საცხოვრებელი ზონა - 3 (სზ-3)-სა, საცხოვრებელი ზონა - 5 (სზ-5)-ის დაფიქსირება.

ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით შეიცვალა სამშენებლო მარეგულირებელი ნორმები, ხოლო თქვენს მიერ მოთხოვნისლი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა ითვალისწინებთ არსებით ცვლილებას, სამსახური აღნიშნულ საკითხს ვერ განიხილავს ცვლილების შეტანის კუთხით. საკითხი უნდა დააყენოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მოთხოვნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება 2019 წლის 26 სექტემბრის №4687621 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ნაცვლად საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-სა დააფიქსიროს საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.